საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 4 17 01418025

15/06/2017

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 221
თარიღი: 19 06 2017 წ.

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
მის: ქ. თბილისი, მიკიევიჩის ქ. N27

ბატონო პაატა,

თქვენი N286 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ „112"-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტის ტიპია "ხმაური აწუხებს" და გულისხმობს ბინიდან, დაწესებულებიდან, ქუჩიდან გამოწვეულ ხმაურს, რომელიც აწუხებს მოქალაქეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სსიპ ,,112"-ში ქ. თბილისის მასშტაბით ინციდენტის ტიპით ,,ხმაური აწუხებს" დაფიქსირებულ შეტყობინებათა რაოდენობა შეადგენს 2013 წელს- 3 039, 2014 წელს- 3 940, 2015 წელს- 5 781, ხოლო 2016 წელს- 5 593.

აღნიშნული ინციდენტის ტიპის მინიჭება საქართველოს რეგიონების მასშტაბით განხორციელებულ შეტყობინებებზე სსიპ ,,112"-ის მიერ ხორციელდება 2016 წლის 18 თებერვლიდან. შესაბამისად, ინციდენტის ტიპით "ხმაური აწუხებს" დაფიქსირებულ შეტყობინებათა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მასშტაბით 2016 წლის 18 თებერვლიდან შეადგენს - 1467.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) / საჯარო
ინფორმაციის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
გიორგი სახოკია

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge